

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

შ.პ.ს. „გორბი ევრაზია“ ს/კ 405430911

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლისა და ხარჯების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შპს „გორბი ევრაზია“-ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	50 926	34 669
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	2 665 783	3 551 050
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	107 769	24 893
მარაგები			
მზა პროდუქცია			
სხვა -საწვავი			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	7 021	7 451
სხვა არამატერიალური აქტივები	5	4 144	4 144
ძირითადი საშუალებები	6	139 702	377 043
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		2 975 345	3 999 250
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	7	16 661	75 929
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	420	1 169
საგადასახადო ვალდებულებები	9	1304	
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	864 416	1 134 944
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	11	87 190	683 023
სულ ვალდებულებები		969 991	1 895 065
კაპიტალი	12	227 592	92
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	1 777 762	2 104 093
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი		2 005 354	2 104 185
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 975 345	3 999 250

შპს „გორბი ევრაზია“-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები	№ სტ.	31.12.2023	31.12.2024
ნეტო ამონაგები	14	2 522 656	4 430 189
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		2 522 656	4 430 189
გაყიდვების თვითღირებულება	15	-1 861 131	- 3 520 602
საერთო მოგება		661 526	909 587
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება			
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი			
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(404 220)	(536 810)
სულ საოპერაციო ხარჯები			
საოპერაციო მოგება		257 305	372 777
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	17	69 874	77 393
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	18	327 179	450 170
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		327 179	450 170
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		327 179	450 170
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			-123 839
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		40 000	-227 500
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19	2 005 354	2 104 185

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გორბი ევრაზია“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 405430911 დაარსდა 2021 წლის 5 იანვარს. კომპანიის დამფუძნებელი მერაბ ფაჩულია (პ/ნ 01007003464)-100%.

კომპანიის დირექტორია მერაბ ფაჩულია (პ/ნ 01007003464).

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 47, ბინა N88

კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს სოციალური კვლევა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ვალუტის დასახელება (კურსი)	2024 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2,8068
ევრო/ლარი	2,9306
გირვანქა სტერლინგი	3,5349

ამონაგების აღირება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები, გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. აღრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება შესაბამისი ქვეჯგუფით რომელსაც მიეკუთვნება ძირითადი საშუალება. 31.12.2022 წლის ბოლოსთვის ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი ქვეჯგუფები მათი სასარგებლო გამოყენების ვადით.

ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა თვე
ელექტრონული მოწყობილობა	60
მსუბუქი ავტომობილები	60
კომპიუტერები	60
ავეჯი ოფისისთვის	60
არამატერიალური აქტივები	1-10 წელი

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები 31.12.2024

ცხრილში 1

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	21 571,64	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4 645,49	დოლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	19,92	ევრო

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 2024 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა ლარი - 34 668,98 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

(ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	2 665 783	3,551,050

კვლევის დამკვეთები არიან როგორც საქართველოს რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

კვლევის ხელშეკრულებები შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შესაძლო გადავადებით ან წინასწარი გადახდით.

შედეგად წლიურ ანგარიშგებაში ჩამოყალიბდა შესაბამისი დავალიანება (მყიდველების დებიტორული დავალიანება გაწეული მომსახურებისთვის, გადასახდელი დავალიანება მყიდველების წინაშე, მიღებული ავანსები)

2024 წელს კომპანიამ გამოიყენა საკუთარი დაგროვილი კაპიტალი და განახორციელა ფინანსური დაბანდება, მოკლევადიანი სესხის გაცემით იურიდიულ პირზე. ხელშეკრულების პირობები და საპროცენტო განაკვეთი შეესაბამება კანონით დადგენილ პირობებს.

ასევე კომპანიამ განახორციელა მოკლევადიანი ინვესტიცია სხვა იურიდიული პირის კაპიტალის შევსებად, რომლის თანადადამფუძნებელს წარმოადგენს შ.პ.ს „გორბი ევრაზია“.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში 2

ცხრილში 2 (ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023 %	31.12.2024 %	აბსოლუტური გადახრა (%)
1	გაცემული სესხი	1 702 365	1 827 665	64	51	-12
2	მოკლევადიანი ინვესტიციები	620 962	797 553	23	22	-1
3	დარიცხული პროცენტი	319 408	551 800	12	16	+4
4	დებიტორული დავალიანება -რეზიდენტები	2 317				
5	დებიტორული დავალიანება -არარეზიდენტები	20 731	374 032	1	11	+10
	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 665 783	3 551 050	100	100	

მაქსიმალური უარყოფითი გადახრა მუხლის მიხედვით_ გაცემული სესხი -12% დაკავშირებულია, კომპანია ოქროყანის სესხების შემცირებასთან 826 900 ლარი -2023 წ, 2024 წელთან შედარებით 125 300 ლარი.

მაქსიმალური დადებითი გადახრა +10 % მუხლის მიხედვით_ დებიტორული დავალიანება - არარეზიდენტები განპირობებულია შემდეგი მოვლენით : 2024 წელს კომპანიამ „გორბი ევრაზია“ 24.08.2024_ ხელშეკრულების მიხედვით, კვლევითი მომსახურება გაუწია კომპანია IPSOS (საფრანგეთი). სამუშაოები შესრულდა და მომხმარებელმა სრულიად მიიღო იგი 2024 წელს, მომსახურების გაწევის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი 2024 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა, ხოლო კომპანია IPSOS-მა (საფრანგეთი) ანგარიშსწორება კომპანია „გორბი ევრაზიასთან“ 2025 წლის იანვარში განახორციელა, რითაც სრულად დახურა დებიტორული დავალიანება 124,000 ევროს ოდენობით.

3. გაცემული წინასწარი გადახდების დინამიკა წარმოდგენილია მე-3 ცხრილში

ცხრილში 3 (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2023	აბსოლუტური გადახრა (ლარი)
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	107 769	24 893	82 876

2024 წ. კომპანიამ „გორბი ევრაზია“ განახორციელა ანგარიშსწორება კომპანიასთან „კავკასიის ავტომობილთა“ 2023 წელს შეძენილ მსუბუქ ავტომობილზე, რამაც გამოიწვია გაცემული ავანსების ღირებულების შემცირება.

4. სხვა მოკლევადიანი აქტივები

დაუსრულებელი მშენებლობა გადაეცა ფიზიკური პირის გაჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. მარაგთა სტრუქტურა წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4 (ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024	აბსოლუტური გადახრა (ლარი)	აბსოლუტური გადახრა (%)
1	საოფისე ინვენტარი	6307	6180	- 430	- 30
2	საწვავი_დაწესებულების ავტომანქანები	480	1053	+ 573	+133
3	ოფისი _სახარჯი მასალები	234	218	-16	- 4
	სულ	7 021	7 451	+ 430	100

5. კომპანიის არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში ირიცხება

არამატერიალური აქტივები, რომლებიც აღრიცხვაზეა 31.12.2024 წლის მდგომარეობით

ცხრილი 5 ლარი

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024
1	ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ლიცენზია	1 390	1390
2	ანტივირუსული პროგრამა	2 754	2 754
	სულ	4 144	4 144

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს - პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 1-დან 10 წლამდე.

6.ძირითადი საშუალებები

6.1 ცხრილში მოცემულია ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 2023-2024 წლების დინამიკაში.

ცხრილი 6.1. ლარი

დასახელება	31.12.2023	31.12.2024	აბსოლუტური გადახრა (ლარი)
ძირითადი საშუალებები	139 702	377 043	+ 237 341

2024 წელს კომპანიამ „გორბი ევრაზია“ მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი არამიმდინარე აქტივების შეძენაზე გამოყო. არამიმდინარე აქტივების შეძენა კომპანიის მომსახურების გაყიდვების მზარდი მოცულობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად იქცა, ამავდროულად, ეს დაკავშირებულია კომპანიის მფლობელის მიერ კომპანიის ახალი კომპიუტერული აღჭურვილობით ხელახლა აღჭურვის აუცილებლობის გააზრებასთან.

საწარმოს ძირითადი საშუალებების სტრუქტურა წარმოდგენილია 6.2 ცხრილში

ძირითადი საშუალებების სტრუქტურა:

ცხრილი 6.2. (ლარი)

ბუღ. ანგარიში	ძირითადი საშუალებების ჯგუფები	შესყიდვის ღირებულება_ 31.12.2023	შესყიდვის ღირებულება_ 31.12.2024	ცვეთა_31. 12.2023	ცვეთა_31. 12.2024	ნარჩენ ი ღირებ ულება _31.12. 2023	ნარჩენი ღირებულება _31.12.2024
2180	სატრანპორტო საშუალებები	100 017	326 701	-47 450	- 92 061	52 567	234 640
2160.04	კომპიუტერები	70 490	119 806	-16 797	- 32 900	53 693	86 907
2160.01	საკომუნიკაციო საშუალებები	13 595	24 205	-5 688	-9 172	7 907	15 032
2160.02	საოფისე ინვენტარი	12 373	15 688	-4 689	- 4 736	7 684	7 951
2160.03	ელექტრონული მოწყობილობა	20 909	41 013	-5 872	- 11 440	15 037	29 573
2110.01	მიწა						
2160.05	ბანერები, სარეკლამო პროდუქცია	2 203	2 203	-1 211	- 2006	992	197
2160.06	ავტომობილი_საბ ურავები	1 822	3 856			1 822	2 743
	სულ	221 409	533 473	-81 707	- 156 430	139 702	377 043

7. სავაჭრო ვალდებულებები

საწარმოს ძირითადი საშუალებების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-7 ცხრილში

ცხრილი 7(ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024	აბსოლუტური გადახრა (ლარი)
1	სავაჭრო ვალდებულებები	16 661	74 929	+ 59 268
2	მათ შორის სავაჭრო ვალდებულებები_რეზიდენტები	16 661	74 929	
3	სავაჭრო ვალდებულებები_არარეზიდენტები			

კრედიტორული დავალიანების აბსოლუტური გადახრა განპირობებულია შეძენილი მსუბუქი ავტომობილისთვის დაგროვილი ვალით. ავტომობილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მომწოდებელთან ანგარიშსწორება 2025 წელს განხორციელდა.

8. 2024 წელს ფინანსურმა მდგომარეობამ კომპანიას საშუალება მისცა, დაერიცხა და გადაეხადა 2024 წლის დეკემბრის თვის ხელფასები, 2024 წლის 31 დეკემბრამდე. შედეგად, წლის ბოლოს თანამშრომლების ანგარიშებზე გადასახდელი დავალიანება არ არსებობს. თანამშრომლების ანგარიშებზე უმნიშვნელო შენატანი განპირობებულია ანგარიშვალდებული თანხების დავალიანების ნაშთით, რომელიც 2025 წლის იანვარში ლიკვიდირებული იქნა.

ცხრილი 8 (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	420	1169

9. 2024 წელს საბიუჯეტო დავალიანება არ არის, ყველა გადახდა განხორციელდა დროულად.

ცხრილი 9 (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024
საგადასახადო ვალდებულებები	1304	

10 2024 წელს კომპანიის მფლობელისაგან მიღებული იქნა სესხის გაცემის გადაწყვეტილება, კომპანიის საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მიზნით.

ცხრილი 10 (ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024
1	მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	864 416	1 134 944
	მათ შორის		
2	კრედიტი მფლობელის	800 248	957 248
3	% კრედიტი მფლობელის	64 168	177 696

11. მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტების პირობების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, დაგროვდა მყიდველისგან მიღებული ავანსების ნაშთი. მიღებული ავანსების სტრუქტურა შეიცვალა და წარმოდგენილია ცხრილში 11.

2024 წელს კომპანიამ „გორბი ევრაზია“ ჩაატარა კვლევა ხელშეკრულების მიხედვით, U.S. AGENCY FOR GLOBAL MEDIA-სთან. კვლევის უმეტესი ნაწილი 2024 წელს დასრულდა და კონტრაქტის პირობების მიხედვით მიღებულია წინასწარი გადახდა. 2025 წელს კვლევა საბოლოოდ დასრულდა, სააღრიცხვო ჩანაწერები ასახავს მომსახურების გაყიდვის ტრანზაქციებს, წინასწარი გადახდები დახურულია შესრულებული სამუშაოების აქტებით.

ცხრილი 11 (ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023_%	31.12.2024_%
1	მიღებული ავანსები_არარეზიდენტები	87 190	636 043	100	93
2	მიღებული ავანსები_რეზიდენტები		46 880		7
3	სულ	87 190	683 023	100	100

12. 2024 წელს სტაბილურმა ფინანსურმა მდგომარეობამ კომპანია საკმარისი საბრუნავი კაპიტალის რაოდენობით უზრუნველყო. მიმდინარე სიტუაციამ მფლობელს საშუალება მისცა, დაებრუნებინა თავდაპირველად საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად გამოყოფილი თანხები. მიღებული თანხები რეინვესტირებული იქნა საინვესტიციო პროექტებში.

ცხრილი 12(ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024	აბსოლუტური გადახრა
1	სააქციო კაპიტალი	227 592	92	-227 450

13. გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

ცხრილი 13 (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024	საანგარიშო წლის მოგება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 777 762	2 104 093	326 331

2024 წელი კომპანიისთვის ფინანსურად სტაბილური იყო, რამაც კომპანიას საშუალება მისცა ემუშავა ფულადი ნაკადების ხარვეზების გარეშე და დამატებით სახსრები გრძელვადიან აქტივებში ჩაედო. განაწილებამდე მოგებამ 450,170 ლარი შეადგინა. მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე, განაწილდა 123,839 (მთლიანი) ლარის ოდენობის დივიდენდები. 2024 წლის წმინდა მოგებამ 326,331 ლარი შეადგინა.

14. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან

ცხრილი 14.1. (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024	აბსოლუტური გადახრა	შემოსავლის ზრდის %
ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2 522 656	4 430 189	1 907 533	76

კომპანიის საქმიანობა - საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

მომსახურების დამკვეთები არიან როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

2024 წელს გაყიდვების სტრუქტურა შენარჩუნდა, ისე როგორც იყო 2023 წლის გაყიდვების სტრუქტურა. მომსახურების ძირითადი მომხმარებლები საქართველოს არარეზიდენტი კომპანიები იყვნენ. ცხრილში 14.2 მოყვანილია 2023-2024 წლების სტრუქტურების შედარება.

ცხრილი 14.2.(ლარი)

№III	დასახელება	2023	2024
1	მყიდველები_რეზიდენტები	18	17
2	მყიდველები_არარეზიდენტები	82	83
	სულ	100	100

15. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის სპეციფიკა - კვლევის განსახორციელებლად საჭიროა დიდი მოცულობით მომსახურების მიღება როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისგან (ინტერვიუერები), აღნიშნული ფიზიკური პირები არ წარმოადგენენ კომპანიაში მუდმივად დასაქმებულ პირებს და მათთან თანამშრომლობა ხდება კონკრეტული პროექტისა და დასახული ამოცანის შესრულების მიზნით.

ცხრილში 15.1. ასახულია დინამიკაში მარგინალური ღირებულების მნიშვნელობები 2023-2024 წლებში. 2023-2024 წლების დინამიკაში ზღვრული დანახარჯების ფარდობითი ზრდის ტემპი შედარებადია მომსახურების გაყიდვების ფარდობითი ზრდის ტემპთან (შესაბამისად, 89% და 76%).

ცხრილი 15.1.(ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024	ზღვრული თვითღირებულების ზრდის %
გაყიდვების თვითღირებულება	1 861 130	3 520 602	89

ზღვრული ღირებულების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-15.2 ცხრილში მითითებული პუნქტებით

ცხრილი 15.2(ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024	%	%	აბსოლუტური გადახრა (%)
1	ფიზიკურ პირებზე გადახდილი მომსახურების ანაზღაურება	927 118	1 478 233	50	42	-8
2	იურიდიულ პირებზე გადახდილი ანაზღაურება_არარეზიდენტები	259 635	1 243 987	14	35	+21
3	პირდაპირი ხელფასი დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები	651 330	691 231	35	20	-15
4	მომსახურების ანაზღაურება იურიდიული პირები_რეზიდენტები	20 355	106 868	1	3	+2
5	ძირითადი მასალის დანახარჯები	2 692	283			
	სულ	1 861 130	3 520 602	100	100	

მარგინალური თვითღირებულების სტრუქტურაში 2024 წელს ზღვრული ხარჯების სტრუქტურაში მცირე ცვლილებები იყო.

თანამშრომლების ხელფასების პუნქტში მუდმივი ხარჯების შემცირება, აიხსნება გაყიდვების შემოსავლის ზრდით (-15%). ზრდა პუნქტის მიხედვით მომსახურება_არარეზიდენტებისა (+21%) აიხსნება იმავე მიზეზებით, რადგან ეს პუნქტი წმინდად წარმოადგენს ცვლად ხარჯებს.

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ცხრილი 16 (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	404 220	536 810

საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა მითითებული მუხლებით წარმოდგენილია მე-16.1 ცხრილში - არარეალიზირებული შემოსავლები

ცხრილი 16.1 (ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024	%_31.12.2024	%_31.12.2024	აბსოლუტური გადახრა (%)
იჯარის ხარჯი	110 379	118 740	27	22	-5
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	59 565	79 108	15	15	
მივლინების ხარჯები	8 802	51 334	2	10	7
იურიდიული მომსახურება	36 130	36 221	9	7	-2
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	62 899	74 060	16	14	-2
საკონსულტაციო ხარჯი	7 293	13 837	2	3	1
სოციალური გადასახადი	17 253	26 120	3	5	2
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	33 335	31 987	8	6	-2
საბანკო მომსახურება	7 028	11 735	2	2	0
სამეურნეო ხარჯები	15 495	10 614	4	2	-2
ძირითადი საშუალებების ცვეთა	42 826	74 723	11	14	3
სხვა საერთო ხარჯი	3 215	8 332	1	2	1
სულ	404 220	536 810	100	100	

მაქსიმალური გადახრა (+7%) პუნქტის მიხედვით მივლინების ხარჯები_ განპირობებული იყო საკუთარი თავის შემდგომი დამკვიდრების, ახალი ცოდნის მიღების (მივლინებები კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად) და ახალი კონტრაქტების უზრუნველყოფის აუცილებლობით, რათა გაგვეზარდა ჩვენი საბაზრო წილი და გაყიდვები, მოცულობის გაზრდის მიზნით. ეს მიზანი წარმატებით იქნა მიღწეული 2024 წელს.

17. სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

ცხრილი 17.1.(ლარი)

დასახელება	31.12.2023	31.12.2024
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	69 874	77 393

სხვა არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის განხილვა წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში 17.2

ცხრილი 17.2.(ლარი)

№ III	დასახელება	31.12.2023	31.12.2024
1	არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან_	16 988	43 806
2	არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან- დადებითი კურსთა შორის სხვაობა	9 812	1 784
3	არასაოპერაციო შემოსავალი- სესხზე დარიცხული პროცენტი	175 200	238 871
4	არასაოპერაციო ხარჯი სავალუტო სახსრების გადაფასება-უარყოფითი კურსთა შორის სხვაობა	-33 903	-57 971
5	% ხარჯები	-78 466	-113 932
6	ჯარიმები, პენია	-360	
7	შუამავალი ბანკის საკომისიოები	-1 508	-1 979
8	ძირითადი საშუალების ნარჩენი ღ-ბა	-3 277	-130
9	სავალუტო ანგარიშების გადაფასებიდან მიღებული უარყოფითი გაცვლითი კურსის სხვაობები	-14 612	-29 078
10	სხვა გამოუქვითავი ხარჯები		-3 978
	სულ	69 874	77 393

18. მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან

2024 წლის ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მიხედვით, დადებითი ფინანსური შედეგი იქნა მიღებული 450,170 ლარის წმინდა მოგების ოდენობით.

19. საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

მესაკუთრის 2024 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით, განაწილდა 123,839 ლარის ოდენობის დივიდენდები. გარდა ამისა, მესაკუთრემ დახურა ვალი საწესდებო კაპიტალში საწყისი შენატანის 227,500 ლარის ოდენობით. 2024 წლის შედეგების მიხედვით, საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 98,831 ლარით და 31.12.2024 წლის მდგომარეობით შეადგინა 2,104,185 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2025 წლის 29 სექტემბერს.